

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N29 საცხოვრებელი სახლის
N9 ბინაზე, მოქალაქე ვარლამი გაბუნიასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ვარლამი გაბუნიას წარმომადგენლის ლამარა კოსტავას განცხადება /2012 წლის 20.08 Nკ-6754/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ვარლამი გაბუნიას სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვარლამი გაბუნიას.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე /საერთო ფართობი 52,69 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 33,78 კვ.მ, დამხმარე ფართობი 18,91 კვ.მ./ მოქალაქე ვარლამი გაბუნიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია